

დროსა და სამყაროს გავლით ქალი, როგორც სუბიექტი და აურზაური მის გარშემო

ლელა ოჩიაური

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა იდეოლოგია, ქალი - „სუბიექტი“ და „ობიექტი“, ლანა ლოლობერიძე, ცენზურისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მსოფლიო და ქართულ კინოში ქალი რეჟისორების რიცხვი კატასტროფულად მცირეა. პერსონაჟი ქალები - მთავარი გმირები კი (მათ შორის, ქალი ავტორების ფილმებშიც) - მზერის არეში, ხშირად, არა პიროვნული თვისებებითა და პირადი პრობლემების გამო მოქცეული „სუბიექტები“, არამედ, „ობიექტები“ - კაცი გმირების „პარტნიორები“ ან საზოგადოების სხვადასხვა პრობლემის გამოხატულებები არიან.

პირველმა ეს „წესი“ ლანა ლოლობერიძემ „დაარღვია“ და შემოქმედების მთავარ თემად ქალის - პიროვნების, საზოგადოების წევრის, სოციალურად აქტიური და პირად პრობლემებსა თუ პროფესიაზე ორიენტირებული - პერსონის ცხოვრების ასახვა „აირჩია“.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც, XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე, ევროპასა და ამერიკაში საპროტესტო მოძრაობების ციკლი დაიწყო; სტალინის სიკვდილს საბჭოთა კავშირში, მისი „კულტის დაგმობა“ და „დათბობის“ ეპოქის დაწყება მოჰყვა, „დათბობას“ - ცენზურის ოდნავ შემსუბუქება და ახალი მსოფლმხედველობის, ახალი ტენდენციებისა და ახალი ხელოვნების მიმართულების გაჩენა.

1960-იანელმა კინორეჟისორებმა, რომელთა ლიდერთა შორის, ლანა ლოლობერიძე იყო, სახე უცვალეს მანამდე არსებულ სახელოვნებო სტანდარტებს, დოგმებისგან შედარებით გათავისუფლდნენ, დაუპირისპირდნენ იდეოლოგიას და იმ სივრცეში გადაინაცვლეს, რომლის საზღვრებიცა და განზომილებებიც თვითონვე შექმნეს.

ლანა ლოლობერიძე დღესაც ოდესღაც არჩეული კურსის ერთგულია და კვლავ ლიდერად რჩება, კინოთემატიკის თავისთავადობისა და მხატვრული გამომგონებლობის მიხედვით.

მათი სამეფო

საბჭოთა კინოწარმოების სისტემა და შემოქმედებითი თავისუფლება მკაცრად შეზღუდული იყო და აქტიურად, ყოველმხრივ კონტროლდებოდა. მაშინაც კი, როდესაც სტალინის კულტის გამოცხადების შედეგად, ცენზურა ოდნავ შესუსტდა და ხელოვანმაც და საზოგადოებამაც შედარებითი თავისუფლება მიიღო. ყველაფერს - დაფინანსებიდან დაწყებული, გაქირავებითა და საავტორო უფლებებით დამთავრებული - სახელმწიფო აკონტროლებდა. ის მართავდა და განაგებდა, ის რთავდა ნებას და კრძალავდა. ხელოვანი „თავისუფალი“ იყო მხოლოდ ცენზურისა და იდე-

ოლოგიური ჩარჩოების საზღვრებში. სახელმწიფო წყვეტდა - ვის, როდის და რა შეეძლო გადაეღო და ბოლო სანქციას - ფილმის ეკრანებზე ყოფნა-არყოფნის გადაწყვეტილებასაც - ის გასცემდა. ალტერნატივა არ არსებობდა, არც იდეოლოგიური და არც საწარმოო კუთხით.

საბჭოთა კავშირში არ არსებობდნენ დამოუკიდებელი კინოსტუდიები და დამოუკიდებელი პროდუსერები, რომლებსაც შეეძლოთ ნიჭიერი, წარმატებული რეჟისორების დაფინანსება და ხელშეწყობა. ამიტომ რეჟისორები და განსაკუთრებით, ახალგაზრდები, წლობით ელოდნენ რიგს, თუ როდის შესძლებდნენ ფილმის გადაღებას. ამ

ლოდინში წლები გადიოდა. და, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, დღესაც ასეა, ოღონდ, სულ სხვა მიზეზით.

თემატური, იდეოლოგიური, ცენზურით დაწესებული შეზღუდვის გარდა, შეიძლება არაპირდაპირი, მაგრამ მაინც აკრძალვის, უფრო არაკეთილგანწყობის, დისკრიმინაციის ერთ-ერთი ობიექტი – ქალი ხელოვანი იყო. და თუ საბჭოთა ქალ კოლმეურნეს, მუშას, გლეხს მიესალმებოდნენ, მასწავლებელს, ექიმს, მეცნიერს ცნობდნენ და აღიარებდნენ, ქალი ხელოვანისა და, განსაკუთრებით, კინორეჟისორის არსებობის დაშვება, პრაქტიკულად, მკრეხელობად ითვლებოდა. ამიტომ, მათი რიცხვი, საერთო ჯამში, მიზერულია, მთელ საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირის ისტორიის განმავლობაში. Sic. დღესაც კი, მსოფლიოში და საქართველოში, ქალი რეჟისორების რაოდენობის ზრდისა და მათი ფილმების წარმატებებისა და გამარჯვებების მიუხედავად, დამოკიდებულება დიდად არ შეცვლილა. ქალებს – კინოში, ზოგადად და კაცი რეჟისორების დიდი ნაწილი – ისევ არ ცნობენ და არ აღიარებენ თანასწორად.

კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი არა ავტორების სქესს, არამედ, ქალ პერსონაჟებს უკავშირდება. დაწყებული, პირველი ქართული მხატვრული ფილმიდან „ქრისტიანე“ (1916 წელი, რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა), რომლის მთავარი გმირი ქალია, მრავალი წლის განმავლობაში (და ხშირად, დღესაც) ქართულ (და საბჭოეთის) ფილმებში – პერსონაჟი ქალები – მთავარი გმირებიც კი – რეჟისორებისთვის (ქალებისთვისაც) – ყურადღების ობიექტები იყვნენ არა, როგორც ქალები – თავიანთი პრობლემებით, ხასიათებით, ვნებებითა თუ ცხოვრებისეული წინააღმდეგობების პირისპირ. უმეტეს შემთხვევაში, მათ „დამხმარე ხელსაწყო-სა“ თუ „სათადარიგო ნაწილის“ ფუნქცია ჰქონდათ, და „ევალეობდათ“, ან/და კაცი გმირის პარტნიორობა (ცოლი, დედა, და, თანამშრომელი და ასე შემდეგ) ან, საერთოდ, არ ჰქონდათ „პირადი ფუნქცია“ და საზოგადოების ზოგად მდგომარეობას, პრობლემებს, ავტორის სათქმელს გამოხატვდნენ. ეს ტენდენცია, სხვადასხვა ფორმით, თანამედროვე ფილმებშიც, ასე თუ ისე გრძელდება.

იგივე ვითარება იყო და არის სხვა, არაერთი ქვეყნის კინოშიც. ირანელი აბას ქიაროსტამი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ტრადიციულად, ირანულ ფილმებში ქალი პერსონაჟები ორგვარ

კატეგორიას ასახიერებენ: დედებს ან დიასახლისებს. და მე ამ კატეგორიებიდან არც ერთი მხიბლავს და არც ვიყენებ. მათ არ გააჩნიათ ადამიანური მხარე. ბევრ დასავლურ ფილმს იგივე ნაკლოვანებები აქვს. ქალები გამოყვანილნი არიან როგორც კოსმეტიკური პერსონაჟები, თითქოს უბრალოდ გაყიდვების გაზრდაში რომ დაეხმარონ. ირანულ კინოში ქალი პერსონაჟების კიდევ ორი ტიპაჟია. გმირი ქალები, რომლებსაც ასევე არ ვიყენებ, რადგან ზედმეტად ავები არიან და მეორე – მსხვერპლები, რომლებიც ნაკლებად მაინტერესებს. ამ ოთხი ძირითადი კატეგორიის გარდა, არც არის მეტი. ასევე, არიან განსაკუთრებული ქალი პერსონაჟები, მაგრამ მე არ ვაკეთებ კინოს განსაკუთრებულებზე. მე მინდა ვითანამშრომლო ნორმალურ, ჩვეულებრივ ქალებთან, როგორებსაც არც ისე ბევრს ვპოულობ. მინდა მყავდეს ისეთი ქალი პერსონაჟი, რომლისთვისაც ქალობა პრობლემა არაა, მაგრამ, უბრალოდ, ვერ ვპოულობ“¹.

XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ცხოვრების წესიცა და საზოგადოების მოთხოვნილებებიც მეტ-ნაკლებად შეიცვალა, და ახალი თაობის გამოჩენასთან ერთად, ქართულმა კინომაც ახალი გეზი აიღო, ქართულ კინოში, ქართულ კულტურაში ახალი ტენდენციები იჩენენ თავს და ახალი იმედებით, იდეებით, მიზნებით აღსავსე ახალი, 60-იანელთა თაობა, საკუთარი სათქმელის საზოგადოებამდე მისაბნად, საკუთარი ფიქრებისა და მსოფლმხედველობის გამოსახატად მოძრაობას იწყებს.

ამ პერიოდში შეიცვალა ქალი პერსონაჟების სახეებიც. გამომჟღავნდა ინტერესი მათი, როგორც პიროვნებების მიმართ. გამოჩნდა, თუ როგორები იყვნენ ისინი, როგორ აღიქვამდნენ ცხოვრებას, დროს (როდესაც ცხოვრობდნენ), რა აწუხებდათ, ახარებდათ, რა უნდოდათ სხვა ადამიანებისგან, რა მიზნები, ოცნებები და როგორი ყოფა ჰქონდათ, რისკენ ისწრაფოდნენ და რაზე ამბობდნენ უარს.

ერთ-ერთი პირველი ქალი რეჟისორი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული კინოს „გენერალური კურსი“ – ლანა ლოლობერიძეა, „60-იანელების“ თაობის ერთ-ერთი ლიდერი. მისი, როგორც რეჟისორის, ცხოვრებაც, კინოს ახალ ტენდენციებთან ერთად, 1950-1960-იანი წლების მიჯნაზე იწყება.

და ქალები ალაპარაკდნენ

1 ზაათარი, ინტერვიუ, 2013.

ლანა ლოლობერიძის პირველი - სადიპლო-
მო და სადებიუტო ნამუშევრები - დოკუმენტუ-
რი ფილმები იყო - „გელათი“ და „თბილისი 1500“
- მიძღვნილი საქართველოს დედაქალაქის 1500
წლისთავისადმი (ორივე - 1958 წელი), რომლებიც
კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, სახელმწიფო
„დაკვეთით“ გადაიღო.

დაკვეთის ვალდებულების მიუხედავად, ამ კი-
ნოსურათებში, რომლებიც საქართველოს კულ-
ტურულ მემკვიდრეობას, ისტორიასა და სული-
ერ ღირებულებებს ეძღვნება, აშკარად იკვეთება
ახალგაზრდა რეჟისორის დამოკიდებულება ამ ის-
ტორიისადმი, ქვეყნის წარსულისადმი, კულტურის
თავისებურებებისადმი. მეორე მხრივ, აშკარად
ჩანდა ავტორის სტილი, მხატვრული ხედვის უნა-
რი, რამაც მომავალ ფილმებში მხატვრული გან-
ზოგადების უფრო სხვა და ღრმა სახე მიიღო.

ლანა ლოლობერიძის პირველი, დამოუკიდე-
ბელი და არა „იძულებით“ - თავსმოხვევით - გა-
დაღებული ფილმი, რომელშიც გამოიხატა მისი,
ერთი მხრივ, როგორც სარეჟისორო ხელწერის
მიმართულება და თავისებურებები, მეორე მხრივ
- სწრაფვა თანადროული და მარადიული პრობ-
ლემების ასახვისკენ, რომლებიც მას, როგორც მო-
ქალაქესა და ხელოვანს, საზოგადოებრივ ცხოვ-
რებასა და ხელოვნებაში აინტერესებდა და აინტე-
რესებს დღესაც - 1961 წელს გადაღებული „ერთი
ცის ქვეშაა“. მასში გამოიკვეთა თემები, რომლებიც
რეჟისორის, ფაქტობრივად, ყველა მომდევნო კი-
ნოსურათში, სხვადასხვა კუთხითა თუ რაკურსშია
წამოჭრილი და „მეტერიალიზებული“.

„ერთი ცის ქვეშ“ - სამ ნაწილადაა დაყოფილი
- „თავადის ქალი მაია“ (ლეო ქიაჩელის მოთხრო-
ბის მიხედვით), „მტრედები“ და „ფრესკა“ (არჩილ
სულაკაურის ნოველებზე), რომლების მოქმედება
- 1921, 1941 და 1961 წლებში - ხდება და ასახავს სა-
მი, განსხვავებული სოციალური მდგომარეობის,
ბედისა და თვისებების ქალის ამბავს, ისტორიული
კატაკლიზმების დროს.

„ერთი ცის ქვეშ“, „აღორძინების ეპოქის“ ქარ-
თულ კინოში, 60-იანელების თაობის კინოაზროვ-
ნების, მხატვრული ტენდენციებისა და ამოცანების
ერთ-ერთი „ილუსტრაციაა“, რომლის ძირითადი
„თემისი“ - თანამედროვე ადამიანის არსის, ცხოვ-
რების წესის, საზოგადოებასთან ურთიერთობის,
ერთობის, კონფლიქტის საკითხებია, და, რომლის
ერთ-ერთი მახასიათებელია ინტერესი - ქალის,
როგორც პიროვნების, საზოგადოების აქტიური
წევრის მიმართ, რომელსაც აქვს მიზანი, ნება და

ჰყოფნის სითამამე, ნებისმიერი არჩევანის გასაკე-
თებლად და გადაწყვეტილების მისაღებად.

პრობლემები, რომლებიც ადამიანებს ალელ-
ვებთ, მათი თავისებური ხედვა და ჩვენება, თით-
ქოს არაფრით გამორჩეული, მაგრამ მნიშვნელო-
ვანი ამბები, უბრალო, მხატვრული გამომსახვე-
ლობის ახალი ფორმების ძიება, ადამიანის - რო-
გორც ბუნების განუყოფელი ნაწილის ჩვენება და
დაკარგული ჰარმონიის ძიება - ახასიათებდა ლა-
ნა ლოლობერიძის თაობის კინოს 1960-იანი წლები-
დან და ახალი ქართული კინემატოგრაფის უპირ-
ველეს ნიშნულად იქცა.

„ერთი ცის ქვეშ“ მოქცეულ სამივე ნოველას სა-
ერთო სტილისტიკა და სხვადასხვა დროში განვი-
თარებული სიყვარულის ისტორიები აკავშირებთ.

მოქმედება „თავადის ქალ მაიაში“ XX საუკუნის
20-იანი წლების დასაწყისში ხდება. დრო და სა-
ქართველოში ხელისუფლება უკვე ბოლშევიკებს
ეკუთვნით, რამაც ისტორია და ადამიანები ორად
გახლიჩა. ერთი, დასაღუპად, უმომავლოდ გაიწი-
რა, მეორემ - ბნელმა „წითელმა“ მასამ - პრივი-
ლეგიები და ახალი ცხოვრების მართვის უფლება
მიიღო - ძალადობრივ სახელმწიფოში, ნგრევის
ეპოქაში.

საქართველოში ანექსირებულია და თავად-აზ-
ნაურთა ფენას ყველაფერი და მათ შორის, ბედ-
ნიერებაც - სიყვარულის უფლებაც - წარსულში
დარჩა. მათ გადარჩენის გზა უნდა იპოვონ. მაიაც
აკეთებს არჩევანს და ბედისწერას არ ემორჩი-
ლება. ანტიკური გმირის მსგავსად, მოქმედებას
იწყებს და საკუთარი თავი სამსხვერპლოზე თვი-
თონვე მიაქვს.

თავადის ქალი ბოლო აღსარებას მოახლე გო-
გოს აბარებს. ლანა ლოლობერიძე ამ ეპიზოდს წარ-
სულის მოგონებების მზანებისეული სურათებით
აგებს და ალელვებულ ზღვაში მაიას თვითმკვლე-
ლობას, მისი მსგავსი ბედის ათასობით ადამიანის
არა მხოლოდ ფიზიკურ აქტად, არამედ სულიერი
გარდაცვალების მეტაფორად წარმოადგენს.

„ზღვასთან მაიას შეხვედრას მწერალი ნახევ-
რადზღაპრული მითოსური წარმოდგენებით ავ-
სებს. სწორედ ასეთ მისტიკურ გარემოში უნდა
მოხდეს ზღვისა და მაიას ერთად შეყრა, დაწყ-
ვილება, „საიდუმლო ჯვრისწერა“. მარიამობის
დღესასწაულის წინა ღამეს ათევენ ზღვისპირას.
მწერალი საგანგებოდ არჩევს ხალხმრავალ შემ-
თხვევას. ქორწილსა თუ ჯვრისწერას ყოველთ-
ვის ახლავს ხმაური და მხიარულება. სოფლის
წესისამებრ, ბოროტი სულების დასაფრთხობად

ხალხმა თავიანთი კარვების წინ ჯვრიანი ჭოლო-კები აღმართა და კოცონები ააბრიალა. იმართება „დევერი“ ცეკვა. ხალხი სიმღერას აგუგუნებს. „ამ გუგუნისა და როკვისაგან ბოლოს მიწა შეინძრა და ტყეში ხეები წამოსაქცევად შექანდნენ“. ხდება უჩვეულო, იდუმალი შეყრა ადამიანისა და ბუნებისა – ზღვისა და მაიასი. ამიტომ მონაწილეობს სამყარო თითქოს ერთიანად – თავისი ყოველი არსით. ეს სწორედ ამგვარ ვითარებაში უნდა მოხდეს – კუდიანების ღამეს, როცა ღამისმთავარი – მენცარი, უბელო კვიცზე გადამჯდარი, კუდიანების ფერხულს მართავს. სასწაული მხოლოდ ასეთ ღამეში უნდა დაიბადოს. მაია სულიან-ხორციანად განიცდის ამ ღამეს. მისთვის სამყარო გახსნილია თითქოს. „მგელზე იჯდა მენცარი და ყველაზე უფრო მაღალი ხის წვერს შეჰყურებდა მოუთმენლად. ხის წვერზე ერთი ვინმე მესიაკონი შესკუპებულიყო და ბუს თვალებით გასცქეროდა ზღვის პირად ციხესავით შეკრული ხალხის ცეკვასა და მოძრაობას“. მაია, ჯადოქარივით ძალამიცემული, ეუბნება ამ ღამეს ბონდოს: „კუდიანების ღამეა ეს ღამე, ბონდო, და სთქვი, რა გსურს, რომ აგისრულო? ასე ნუ მოგიწყენია... სანამ როკაპი ტაბაკონას წავიდოდეს და მენცარის მეუფებას ბოლო მოეღებოდეს“ მაია ამ უხილავ, მაგიურ ძალებთან არის თითქოს იდუმალ დაკავშირებული“.²

ნოველაში „მტრედები“ მოქმედება 1941 წელს ხდება, შეყვარებული წყვილის – ნანასა და ლევანის გარშემო. მათ, თითქოს ბედნიერ ცხოვრებასა და მომავალს ომის დაწყება დასაწყისშივე აფერხებს. შეყვარებულები ერთმანეთს საჭაერო განგაშის დროს, სახურავზე მორიგეობებისას ხვდებიან. მათი სიყვარულის შორეული მოწმე სამხედრო ჰოსპიტალში (რომელსაც მორიგეობის ადგილი გადაჰყურებს) სამკურნალოდ მოთავსებული დაჭრილი ჯარისკაცები არიან.

შემდეგ ლევანს ფრონტზე იწვევენ, სადაც მალე კლავენ. სიკვდილის ტრაგიზმის მიუხედავად, ნოველა ოპტიმისტურად სრულდება. აქაც ერთვება ანტიკური ტრაგედიის „კანონი“ – ადამიანები იღუპებიან, ომი ყველაფერს სპობს და ანადგურებს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. მტრედები კვლავ დაფრინავენ თბილისის თავზე. ჰოსპიტალში ჯარისკაცები იარებს ნელ-ნელა იშუშებენ. ფანჯრებში უკვე ნაკლები და იშვიათად ჩნდებიან. ასეთი ალეგორიული სვლებით აგებს ლანა ლოლობერიძე ომის სისასტიკისა და სიყვარულის უკვდავების

მეტაფორას.

„ფრესკაში“ მოქმედება ფილმის გადაღების პერიოდში, იგივე დროში, მშვიდობიანი ცხოვრების დროს ხდება. ყურადღება ეთმობა ახლის შენებასა და ახალი თაობის აქტიურობას ამ პროცესში. ომისშემდგომი საქართველო, საქართველოს დედაქალაქი აღმშენებლობის გზას ადგას. ახალ საზოგადოებას ახალგაზრდები ქმნიან. მშენებლობის ეპიცენტრში სპორტის სასახლის მშენებლობა, მისი გახსნა და ახალი მნიშვნელოვანი ობიექტის დაბადების სპორტული ასპარეზობით საზეიმო აღნიშვნაა. ამ მოვლენების ფონზე კი, სასახლის პროექტის ავტორის, ენერგიული ახალგაზრდა არქიტექტორის რუსუდანის უიღბლო სიყვარულის ამბავია. მისი ინტერესის ობიექტს, მხატვარს, რომელიც ფრესკით ამკობს ახალი ნაგებობის კედლებს, ახალგაზრდა სპორტსმენი გოგონა უყვარს. და იმის მიუხედავად, რომ რუსუდანს არ გაუმართლა, სიყვარული მაინც არსებობს და სიცოცხლის სტიმულს იძლევა.

„თავადის ქალი მაიას“ შემდეგ ლანა ლოლობერიძემ გადაიღო გამორჩეული და თავისებური მხატვრული ღირებულებების, ახალი კინოტენდენციების მომცველი ფილმი – „ფერისცვალება“. მისი მთავარი გმირი კაცია, ნი-იანელების თაობის წარმომადგენელი, შემოქმედებითი კრიზისის პერიოდში მყოფი რეჟისორი, რომელიც ცხოვრებასთან შინაგან კავშირს კარგავს. კინოსურათი იგავური ენით აჩვენებს, ერთი მხრივ, პიროვნების პრობლემებს, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხებს ააშკარავებს და ამავე დროს, ის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი განაცხადია, საბჭოთა რეჟიმის პირობებში შემოქმედის თავისუფალი არჩევანის შეუძლებლობაზე, თავისუფლების შემზღუდველი რეალიებიდან და რეჟიმის „კანონებიდან“ გამომდინარე.

1972 წელს ლანა ლოლობერიძემ გადაიღო საკულტოდ ქცეული, იმ დროისთვის ახალგაზრდებში ერთ-ერთი განსაკუთრებით პოპულარული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“, თანამედროვე ახალგაზრდების პრობლემების შესახებ.

ლანა ლოლობერიძე, ფილმში „ერთი ცის ქვეშ“ აღებულ გემს, რამდენიმე კინოსურათის („მე ვხედავ მზეს“, „ფერისცვალება“, „როცა აყვავდა ნუში“) გადაღებიდან, წლების შემდეგ მიუბრუნდა, მიუზიკლით – „აურზაური სალხინეთში“ (1975), რომელშიც მოქმედება გამოგონილ ქალაქში ხდე-

2 ჯალიაშვილი, ზღვის, 2017.

ბა, სადაც კვების ობიექტების არსებობა და ჭამა საზოგადოებას ყველაფერზე მეტად აღელვებს. ახალგაზრდა და ენერგიულ თამროს (სოფიკო ჭიაურელი) სამხატვრო გალერეის გახსნა უნდა. ის საზოგადოების გაუფასურებულ ტრადიციებს, აკვიატებებს უპირისპირდება და იმარჯვებს. ჟანრი ასეთი ილუმინირებული და ბედნიერი ფინალის შესაძლებლობას ქმნის, სიყალბისა და ტყუილის დაშვების გარეშე.

„აურზაური სალხინეთში“ მიუზიკლის ჟანრში გადაწყვეტილი სოციალური სატირაა, რომელიც არღვევს ლანა ლოლობერიძის ნამუშევრების საერთო სტილის, ჟანრობრივ თავისებურებებს, თუმცა ეს მხოლოდ ფორმაა – ერთგვარი ექსპერიმენტი, გამოსახვის, სათქმელის ეკრანული სახიერების განსხვავებული ხერხით შექმნის გზების ძიება. საზოგადოებაში არსებული პრობლემები მაინც მთავარი თემა რჩება. ჟანრი თავის პირობებს სთავაზობს და რეჟისორიც მისი თამაშის წესებს მიჰყვება.

1978 წელს ლანა ლოლობერიძემ გადაიღო – „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, ზაირა არსენიშვილის სცენარით (რომელთან ერთად, 1972 წლიდან მწერლის გარდაცვალებამდე, 2015 წლის ჩათვლით, მუშაობდა) – ერთ-ერთი გარდამტეხი, გამორჩეული, „გემის“ შემცვლელი ფილმი, რომელსაც „ქართული კინოს კლასიკის“ კატეგორია აქვს მინიჭებული.

„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ რეალობას ახალი მხატვრული ფორმით ასახავს, თანადროულ „საკითხებს“ წამოჭრის და ამ საკითხებისადმი თამაში მიდგომით გამოირჩევა.

მოვლენების ეპიცენტრში მთავარი გმირი სოფიკო (სოფიკო ჭიაურელი) – ჟურნალისტი, რომელიც სხვადასხვა ბედის, ხასიათისა და ასაკის ქალის შესახებ და მათი ჩართულობით, ინტერვიუების ციკლს ამზადებს. თითოეულის ისტორია, საწუხარი, სიხარული, ცხოვრების მიმართ დამოკიდებულება უდევს კონცეფციას საფუძვლად, თავს უყრის სხვადასხვაგვარი ცხოვრების ფრაგმენტებს, სხვადასხვა ატმოსფეროსა და რეალობის სპეციფიკური, თითოეულისთვის დამახასიათებელი და ორგანული ჩარჩოების ფარგლებში

სოფიკოც ერთ-ერთი მათგანია. იმავე „სტანდარტებით“ ცხოვრობს, როგორითაც უმრავლესობა – ქმარი, შვილები, მეგობრები, სამსახური. აქტიურია შინ და გარეთ. თუმცა მის სივრცეში ბა-

ლანსი აშკარად დარღვეულია. მეტ ყურადღებას პროფესიულ საქმიანობას უთმობს. რასაც შედეგად, ოჯახური ბედნიერების ნგრევა მოჰყვება. ქმარი ახალგაზრდა და ლამაზ ქალთან აბამს რომანს. სოფიკოს მყარი და საიმედო ნიადაგი ეცლება. და ამის მიუხედავად, სხვა ქალების ბედის, მოწესრიგებული თუ მოუწესრიგებელი ცხოვრების გამზიარებელი ხდება. სამსახურებრივი მოვალეობები პიროვნული თანაგანცდისა და ნამდვილი გულისტკივილის გამომწვევად იქცევა.

„ფილმთან დაკავშირებით, ვიტყვი, რომ ერთი საკითხი, რაც მასში მომწონს, გმირის ისტორიაა – ბრძოლა სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსისთვის – რასაც ეჯახება ყველა ქალი, კარიერის გზაზე და იმასთან კავშირი, როგორ ერწყმის ეს ისტორია სხვა ქალების ინტერვიუების ჩანაწერებს“.³

მოვლენების განვითარებისა და ძირითადი სიუჟეტური ხაზის პარალელურად, გმირის ცხოვრებისეულ პერიპეტეიებში შეტრილია სოფიკოს, წარსულის მოგონებები. ერთ-ერთია, სტალინისა და ბერიას წითელი ტერორის დროს იმიერპოლარეთში გადასახლებიდან, სოფიკოს დედის დაბრუნების – ეპიზოდი.

ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის ყველა დეტალი ავტობიოგრაფიულია. სწორედ ასე დაბრუნდა და ასე შეხვდნენ ერთმანეთს დედა-შვილი – ნუცა ლოლობერიძე და ლანა ლოლობერიძე ათწლიანი განშორების შემდეგ.

ეს ეპიზოდი და მასთან დაკავშირებული ამბავი ერთ-ერთი პირველია ქართულ კინოში, რომელიც დაუფარავად ასახავს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი ადამიანების მდგომარეობასა და „ხალხის მტრის ოჯახების“ ბედის რეალურ სურათს. ასეთი იყო ფილმის რეჟისორისა და დედამისის – პირველ ქართველ ქალ რეჟისორ ნუცა ლოლობერიძის პირადი ცხოვრება. ამ პრობლემასა და მის ვარიაციებს ლანა ლოლობერიძე შემდგომ კინოსურათებში რამდენჯერმე დაუბრუნდა.

ავტობიოგრაფიული, კონკრეტული პირადი საკითხები ზოგადდება და პირდაპირი მნიშვნელობით იძენს „პირად საკითხებზე ინტერვიუების“ სახეს და, შესაბამისად, მოვლენის, ერის ისტორიის პანორამად იშლება.

1982 წელს ლანა ლოლობერიძემ, ზაირა არსენიშვილის სცენარის მიხედვით, გადაიღო კინოსურათი „დღეს ღამე უთენებია“, რომელიც ერთი ქალის – სიმბოლური სახელით – ევა (ახალგაზრდა

3 CLAYDON, Lana, 2022.

- დარეჯან ხარშილაძე, ასაკოვანი - თამარ სხირ-ტლაძე) - თავგადასავლით, საქართველოს გა-საბჭოების პერიოდიდან, ვიდრე საუკუნის 80-იან წლებამდე - ქართული საზოგადოების ისტორიას მიუყვება და - ეპოქების, ისტორიული ძნელებდობის, ცვლილებების სახე-სიმბოლოდაა წარმოდგენილი..

ევა ქართველი ქალის ალეგორიული სახეა, ზნეობრივ-მორალური თვისებებით, მოვალეობებითა და ვალდებულებებით დატვირთული, რომლისთვისაც პირადი ცხოვრებაც ვალდებულება და პასუხისმგებლობაა. უუფლებო და ოჯახის მსხვერპლად განწირული, საქართველოში რევოლუციის შემდეგ, ახალი ქვეყნის მშენებლობას იწყებს და ცხოვრების წესს და ხასიათსაც იცვლის.

ლანა ლოღობერიძის ავტობიოგრაფიული და ახლობლების ცხოვრებისეული ფრაგმენტები უდევს საფუძვლად ფილმს „ორომტრიალი“ (1986 წელი), რომელიც, ისევე, როგორც „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, სხვადასხვა ტიპის, ბედისა და ინტერესების ქალების, თანამედროვე საზოგადოებაში მათი ადგილის, პირადი ურთიერთობების, წარმატებული საქმიანობისა და შეუძღვარი ბიოგრაფიის საკითხებს ეყრდნობა; სამყაროს მოძრაობის უსასრული ციკლის, ცხოვრების ტემპო-რიტმის განვითარების პროცესებს აჩვენებს, რომლებიც მართლაც ორომტრიალივითაა ჩაბმული საზოგადოებრივი განვითარების უწყვეტ რიტუალებში.

მოვლენები რამდენიმე პარალელური და ურთიერთგადამაკვეთი ამბის მიხედვით ვითარდება. ესაა მკვეთრად გამოხატული სოციალური ტიპების გაღერება, რომელიც ლანა ლოღობერიძის შემოქმედების ერთ-ერთი „სამარკო ნიშანია“ და რომელიც ახალ-ახალი „პორტრეტებითა და „პანორამებით“, შტრიხებით ივსებოდა.

რეპრესიების ეპოქისა და, პირველ რიგში, ნუცა ლოღობერიძის დრამატულ ისტორიას, ლანა ლოღობერიძე 1992 წელს უბრუნდება, ფილმით „ვალსი პეჩორაზე“. ესაა გადასახლების უმძიმეს ფიზიკურ და მორალურ პირობებში მცხოვრები რეპრესირებული ქალების, დედების გარეშე გაზრდილი შვილების ამბავი - იმედის, გამძლეობის, სულიერი სიმტკიცისა და მორალური გმირობის შესახებ.

მოქმედება ორ პარალელურ სივრცესა და ორი მთავარი გმირის - დედასა და შვილის - გარშე-

მო ვითარდება - იმიერპოლარეთში, სადამსჯელო სამუშაოებზე გამწესებული ქალების - ხალხის მტრების ოჯახების წევრების - დრამა, და ქალაქში, მშობლების გარეშე დარჩენილი და მიუსაფარ ბავშვთა სახლში იძულებით გამწესებული გოგონას - როგორც ყველა, მსგავს მდგომარეობაში ბავშვობაგატარებული თაობის ისტორია.

„ლანა ლოღობერიძემ შეასრულა გადამწყვეტი როლი წმინდა ქალური, აშკარად პოლიტიკური კინემატოგრაფის განვითარებაში, რომელიც საბჭოთა კინოში 1970-1980-იან წლებში გაჩნდა. მთელი კარიერის განმავლობაში, რომელიც 60 წელზე მეტხანს გრძელდება, 13 გადაღებულ ფილმში, მას ეკრანზე მუდამ გადაჰქონდა ქალების განცდები, იკვლევდა მათ ცვალებად როლებსა და შინაგან მდგომარეობას, საბჭოთა საზოგადოების გარემოცვაში.

რაც ლოღობერიძეს განსაკუთრებით გამოარჩევს, ესაა, რომ იგი პრაქტიკაში ყოველთვის გამოარჩევს და პასუხობს ტერმინის - „ქალური კინო“ არსს. ეს კი ნიშნავს - ქალური სუბიექტურობის ერთგულებას, ქალების პროფესიული და ოჯახური ცხოვრების სერიოზულ შესწავლასა და აშკარად ფემინისტურ პოლიტიკას“.⁴

ახალი და დაუჯერებელი სიმძლავრის

ლანა ლოღობერიძე, 2014 წელს, თავისი პირველი კინოსურათების ფორმატსა და პრობლემატიკას დაუბრუნდა და ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, გადაიღო ავტობიოგრაფიული, დოკუმენტური კინოსურათი - „ნალგლისფერი სიხარულის ქრონიკა“ - მასზე და მის თაობაზე საბჭოთა წარსულის, ისტორიის გავლენისა და ბავშვობისა და ახალგაზრდობის მოგონებები ერთიან მხატვრულ სახედ გააერთიანა.

ფილმში ყველაფერს „ნალგლისფერი სიხარულის“ ელფერი დაკრავს, როგორც ჩავლილ ცხოვრებას და განვილილ ამბების მოგონებებს ახასიათებს. ლანა ლოღობერიძე იხსენებს ბავშვობას, ახალგაზრდობას, განვლილ - თუმცა, არა უკვალოდ - დროს. თხრობა ცოცხლდება დოკუმენტური კადრებით, რომლებიც ასევე ამ ეპოქის, რეალობის გამომხატველი და თანხვედნილია, რომლებიც მოგონებებს, ზოგიერთ შემთხვევაში, პირდაპირ „ასახავენ“ და ზოგიერთ შემთხვევაში - მეტაფორულად და პირობითად და ფილმს, მისი

4 PRONGER, Lana, 2021.

განვითარების გეზსა და დინამიკას, მეტ სახიერებასა და ნოსტალგიურობას მატებენ.

ლანა ლოლობერიძე პირადად უძღვება თბრობას. ცოცხლად, გულწრფელად და ემოციურად გამოხატავს, რაც მოხდა და რაც გადაიტანა. კითხულობს ლექსებს (საკუთარ, მეგობრებისა და მსოფლიო კლასიკიდან, საკუთარი თუ სხვათა თარგმანებით), პოეზიის სწორედ იმ ნიმუშებს, რომელმაც მასა და მისი თაობის ბავშვებს გატირვება, ამ ფორმით გადაატანინა. აცხადებს, რომ ეს იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ლექსებს, ხელოვნებას - მშვენიერებას - შეაფარეს თავი.

2020 წელს, 93 წლის ლანა ლოლობერიძემ, პირველი მხატვრული ფილმიდან „ერთი ცის ქვეშ“ დაწყებული „ტრადიცია“ - ქალების შესახებ - კინოსურათში „ოქროს ძაფი“ გააგრძელა. მისი გმირები სხვადასხვა ასაკის ქალები არიან, რომელთაგან ორი მთავარის - უკვე ასაკოვანი, განსხვავებული წარსულისა და ხასიათის პიროვნებისა (გურანდა გაბუნიასა და ნანა ჯორჯაძის შესრულებით) და მათი ისტორიებია - თანამედროვეობის პარალელურად, ჩართული, წარსულის „ფურცლები“ - სიყვარულზე, ცხოვრებაზე, პროფესიაზე და დროისა და ეპოქის შეცვლით მოტანილი გარდასახვების შესახებ; ნახევრად ბიოგრაფიული და მხატვრული წარმოსხვით შეთხზული ამბები, რომლებიც ვერც მათ და ვერც საზოგადოების ცხოვრებაში ვეღარასოდეს განმეორდება.

„ოქროს ძაფის“ გმირები - წარსულისა და აწმყოს მოგონებებისა და განცდების ტვირთს ეზიდებიან, რაც მტკივნეულიცაა და სიხარულის მომგვრელიც. ეს ქალები აერთიანებენ ბევრ ადამიანს აწმყოში და წარსულში დარჩენილების ხსოვნას ინახავენ, რეჟისორისა და მისი თაობის - ფილმის პერსონაჟების პროტოტიპების - განსხვავებული ამბებიდან. სიცოცხლის ძალასა და იმედზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე.

2023 წელს 95 წლის ლანა ლოლობერიძემ საერთაშორისო საზოგადოება კვლავ აალაპარაკა, ახალი ქართული კინოს ერთ-ერთი გამორჩეული ფილმით „დედა-შვილი ან ღამე არასდროს არ არის ბოლომდე ბნელი“. მისი მთავარი ღირებულება არა მხოლოდ თავისთავადი მხატვრული გადაწყვეტაა, არამედ ახალი სტილი, ფორმა, ამოცანები და მათი გახსნის თავისებური ფორმა და ხერხი. ფილმი შერეული ჟანრისაა და საერთო განსაზღვრებებს არ ექვემდებარება. ის დოკუმენტურიცაა, მხატვრულიც და კიდევ რაღაც სხვაც.

„დედა-შვილში“ ბევრი ხაზი და მიმართულებაა

თავმოყრილი. უშუალოდ აგებულია ნუცა და ლანა ლოლობერიძის ბიოგრაფიისა და მათი გარემომცველი ისტორიის ფაქტებზე, და თან, ბევრი სხვა ადამიანის, არა ერთი სხვა დედა-შვილის შესახებაა.

ნუცა ლოლობერიძისა და საბჭოთა საქართველოს ისტორიის მონაკვეთები - გასაბჭოების, რეპრესიების, პოსტსტალინური ეპოქისა და მშვიდობიანი ცხოვრების სურათები ლანა ლოლობერიძის ბევრ ფილმში, სხვადასხვა ეპიზოდებაა შესული, სხვადასხვა ტრილშია წარმოდგენილი.

სწორედ ამ ფილმების (რომლებშიც სხვა ამბებიცაა და სხვა ადამიანები, სხვა პრობლემები, სხვა თემებია წინ წამოწეული) - „თავადის ქალი მაია“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დღეს ღამე უთენებია“, „ვალსი პეჩორაზე“, „ოქროს ძაფი“ - ფრაგმენტებზეა აწყობილი „დედა-შვილის“ სტრუქტურა, მათი ჩანართები ერთიან სიუჟეტურ ხაზს მიყვებიან და ამბად იკვრებიან. მეორე შრეს უკვე ნუცა ლოლობერიძის ფილმების - „ბუბა“ და „უქმური“ - ფრაგმენტები შეადგენს. აზრობრივად და „გარე ფაქტორებიდან“ გამომდინარე, ეს ეპიზოდები - პირადი და ქვეყნის ისტორიის, საბჭოთა რეჟიმის, იდეოლოგიის გამოხატულებაა და რეჟისორის შემოქმედებითი აზროვნების გამომხატველი.

ორ პარალელურ და ურთიერთგადამკვეთ შრეს, აგებულების სისტემას „გამჭოლ მოქმედებად“ გასდევს ლანა ლოლობერიძის ბავშვობისა და მოწიფულობის მოგონებები - ნამდვილიც და ილუმბორულიც, იმის მიხედვით, თუ „რაც და როგორც აგონდება“, რაც და როგორც ხსოვნამ, თანადროულმა დამოკიდებულებამ ან ემოციურ მეხსიერებაში შემონახულმა რეაქციამ, აღქმამ განაპირობა, რასაც, თავის მხრივ, ძველი ფოტოების გამოსახულება ამდიდრებს, არქივიდან და არც თუ მდიდარი საოჯახო ალბომიდან.

ლანა ლოლობერიძე ფილმის მთხრობელია. თბრობა კადრსმილმიერია - ხმამაღლა ფიქრებით და განსჯით. ეს მონათხრობი და წამყვანის დამოკიდებულება, ინტონაციები და რეაქციები ცხოვრებისეულ, პირად, საზოგადოებრივ ამბებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებენ.

მთხრობელის „ნეიტრალურ“ ხმასა და მშვიდ ემოციაში მაინც იგრძნობა ფარული სევდა, თავშეკავებული და შეფარული გრძნობები, მკაფიო მახვილებით. მისი განცდები მეტად ბუნებრივია, დამოკიდებულები - თავისებური და თავისუფალი მონაცვლეობით. იგი, საკუთარი და სხვების ცხოვ-

რების გადახედვით, გახსენებითა და შეფასებით, თავიდან აანალიზებს და თითქოს თავიდან აფასებს ცხოვრებას.

„მისი ფილმები, ძირითადად, ქალებს ეძღვნება, რომლებიც ბედნიერებისთვის იბრძვიან გაბატონებული პოლიტიკური სისტემების ფონზე და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობენ. ყურადღების ცენტრში, უპირველესად, ცხოვრების კონკრეტული პირობებია. ყოველდღიურობა, მთელი თავისი სირთულეებით, სახლის სამუშაოები და ოჯახის წევრებზე ზრუნვა. განვლილი გზა, რთული გადაწყვეტილებები და მორალური საკითხები, ასევე, თემები, როგორიცაა ადამიანების ადგილზე საზოგადოებაში, ასევე, კერძოდ, ქართული კულ-

ტურა და ტრადიციები თავის ყველა გამოხატულებაში“.⁵

ლანა ლოლობერიძე დიდი ხანია, 65 წელია, ახალი ქართული კინოს „დამფუძნებელადაა“ აღიარებული და მისი შემოქმედებაც ეროვნული კინემატოგრაფის არსებობის, განვითარების, მართულებების, აღმოჩენების სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება. იგი დღესაც, XXI საუკუნის 20-იანი წლების ცხოვრების, შემოქმედების ცოცხალ „ორომტრიალშია“ ჩაბმული. უსამართლობაზე ზნეობრივად და მორალურად გამარჯვების უპირატესობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ზაათარი ა., ინტერვიუ აბას ქიაროსთამთან. <https://cineyema.wordpress.com/2013/07/31/>
- ჯალიაშვილი მ., ზღვის მიჯნური. <https://mastsavlebeli.ge/?p=1543413> სექტემბერი, 2017-10:31
- CLAYDON, A. Lana Gogoberidze on women's cinema an her trailblazing career <https://klassiki.online/interview-lana-gogoberidze/d>; Posted 30 June 2022
- LEENG, A. Life in Film – The Works of Lana Gogoberidze <https://www.arsenal-berlin.de/en/cinema/film-series/ein-leben-im-kino-die-filme-von-lana-gogoberidze>
- PRONGER, R. Lana Gogoberidze: the feminist filmmaker at the centre of a Georgian cinematic dynasty <https://www.new-east-archive.org/articles/show/13185/lana-gogoberidze-georgian-female-film-dynasty>. 13.X.2021

5 LEENG, Life, 2021.

ACROSS TIME AND THE UNIVERSE

Woman as a Subject and the Fuss Around It

Lela Ochiauri

Keywords: Soviet ideology, woman: "subject" and "object", Lana Ghoghoberidze, against censorship and discrimination.

The number of female directors in the world and Georgian cinema is catastrophically small. Female characters, even main heroines (including in films by female authors), are often not "subjects" due to their personal qualities and personal problems, but "objects": male characters' partners or embodiments of various societal problems.

Lana Ghoghoberidze was the first to "break" this "rule" and "choose" to depict the life of a woman—a person, a member of society, socially active and focused on personal problems or profession—as the main topic of her work.

This happened when, at the turn of the 1960s, a cycle of protest movements began in Europe and America, Stalin's death in the Soviet Union, the condemnation of his "cult" and the beginning of the era of Khrushchev's Thaw followed by a slight relief of censorship and the emergence of a new worldview, new trends and a new direction of art. 1960s film directors, among whose leaders was Lana Ghoghoberidze, changed the image of the previously existing artistic standards, relatively freed themselves from dogmas, opposed ideology and moved into a space whose borders and dimensions they created themselves.

Even today, Lana Ghoghoberidze is faithful to the course she once chose and remains a leader, according to the spontaneity of the cinematography and artistic ingenuity.

Their Realm

The Soviet film production system and creative freedom used to be strictly limited and actively controlled in every way, even when censorship was slightly weakened as a result of the denunciation of Stalin's cult and both the artist and the public received relative freedom. Everything was controlled by the state, from financing to rental and copyright. It ruled and managed, it allowed and forbade. An artist was "free" only within the censorship boundaries and ideological frameworks. The state decided who, when and what could be filmed and it gave the final sanction whether the decision should be on the screens or not. There was no alternative, neither ideologically nor in terms of production.

There were no independent film studios or producers in the Soviet Union to finance and support talented, successful directors. Thus, directors, especially young ones, waited in line for years to make

a film. Years passed in this wait. However surprisingly, it is still the case today but for a completely different reason.

